საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი)

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა სერტიფიცირების საგამოცდო კომისიის შესახებ

დამტკიცებულია „ბაფის“ განათლების კომიტეტის მიერ

სხდომის ოქმი N3 25 მარტი 2025 წელი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საგამოცდო კომისიის (შემდგომში „კომისია“) დებულება შემუშავებულია მცირე და საშუალო ბიზნესის (მსბ) ბუღალტერთა კომპეტენციის დადასტურებისა და რეესტრის წარმოების წესის შესახებ დებულების შესაბამისად;

1.2. დებულება ეფუძნება ბაფის განათლების კომიტეტის მიერ დადგენილი საგამოცდო პოლიტიკითა და პროცედურებით გაწერილ წესებს;

1.3. დებულება განსაზღვრავს კომისიის მიზნებს, უფლება-მოვალეობებს, მუშაობის წესებსა და პროცედურებს.

### მუხლი 2. კომისიის მიზანი

2.1. კომისიის საქმიანობის მიზანია, მსბ სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მისანიჭებლად დადგენილი პროცესებისა და პროცედურების მაღალ დონეზე აღსრულებით, ხელი შეუწყოს სერტიფიცირების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას;

2.2. საგამოცდო პროცესის გამჭვირვალობით, უზრუნველყოს მსბ ბუღალტერთა სერტიფიცირების პროცესის სანდოობა და ხელი შეუწყოს პროგრამის პოპულარიზაციას.

### მუხლი 3. კომისიის შექმნა

3.1. საგამოცდო კომისიას (შემდეგში კომისია) ქმნის და კომისიის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს ბაფის განათლების კომიტეტი;

3.2. კომისია იქმნება გამოცდების ჩატარების თარიღამდე სამი თვით ადრე და უფლებამოსილია გამოცდების შესახებ ანგარიშგებამდე;

3.3. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მინიმუმ 5 წევრით;

3.4. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნენ სხვა პროფესიული ორგანიზაციებისა და გაერთიანებების წარმომადგენლები. ასევე, დამკვირვებლის სტატუსით, წინასწარი განაცხადის საფუძველზე, დასაშვებია სხვა პირების მიერ გამოცდებზე მეთვალყურეობა;

3.5. კომისიას ხელმძღვანელობს ბაფის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც პასუხისმგებელია გამოცდების დაგეგმვიდან მისი შედეგების გამოცხადებამდე საგამოცდო პროცესების დადგენილი წესების შესაბამისად უზრუნველყოფაზე;
3.6. კომისია ანგარიშვალდებულია განათლების კომიტეტის წინაშე. ანგარიშგების ვადა განისაზღვრება გამოცდის დამთავრებიდან 15 კალენდარული დღით.

## მუხლი 4. კომისიის ფუნქციები

4.1. **კომისია** უზრუნველყოფს ბაფის სერტიფიცირების პოლიტიკითა და პროცედურებით განსაზღვრული წესების აღსრულებას, მსბ ბუღალტერთა სერტიფიცირების საგამოცდო პროცესის დაგეგმვიდან გამოცდების დასრულების ჩათვლით;

4.2. ნიშნავს გამოცდების ჩატარების თარიღს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას გამოცდების ჩატარების თარიღამდე 2 თვით ადრე;

4.3. იწვევს საგამოცდო ტესტებისა და ამოცანების შემდგენლებს, რეცენზენტებს და გასცემს შესაბამის დავალებებს;

4.4. პასუხისმგებელია საგამოცდო ტესტების კონფიდენციალობაზე კითხვების შემუშავებიდან დაწყებული გამოცდის დასრულების ჩათვლით;

4.5. ხელმძღვანელობს ტესტების გამრავლების პროცესს და უზრუნველყოფს მათ მიღება-დაკომპლექტებას;

4.6. ნიშნავს გამოცდების მთავარ ზედამხედველს, არჩევს გამოცდის ზედამხედველობის კანდიდატებს და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სათანადო ტრენინგებით;

4.7. გამოცდების დაწყებამდე 15 წუთით ადრე, მთავარ ზედამხედველს გადასცემს საგამოცდო ტესტებს და გამოცდების დასრულების შემდეგ მისგან იბარებს საგამოცდო ნამუშავრებს;

4.8. არჩევს საგამოცდო ნამუშევრების შემფასებლებს, საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებას უკეთებს მათ ტრენინგებს;

4.9. საგამოცდო ნაშრომებს ანიჭებს კოდებს, ანაწილებს და გადასცემს მათ შემფასებლებს, იბარებს და აფორმებს შეფასებებს;

4.10. გასაჩივრებულ საგამოცდო ნამუშევარებზე იღებს განცხადებებს და ახდენს სათანადო რეაგირებას;

4.11. ქმნის საჩივრების განმხილველ კომისიას, რომელიც ხელახლა აფასებს საგამოცდო ნაშრომს. ამზადებს ანგარიშს საგამოცდო ნამუშევრის განმეორებით შეფასების შედეგებზე;

4.12. კოორდინირებას უკეთებს საგამოცდო პროცესთან დაკავშირებული სხვა პროცედურებს, დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;

4.13. ჩატარებული გამოცდების შედეგებზე ამზადებს ანგარიშს  და დასამტკიცებლად წარუდგენს განათლების კომიტეტს.

## 5. კომისიის წევრების პასუხისმგებლობა

5.1. კომისია საგამოცდო პროცესს  ანხორციელებს დამოუკიდებლად, განათლების კომიტეტის  მიერ შემუშავებული ზოგადი პოლიტიკისა და  პროცედურების შესაბამისად

5.2. კომისიის დებულების დაცვა, შესაბამისად, დამოუკიდებლობისა და კონფინდენციალობის შენარჩუნება, სავალდებულოა კომისიის ყველა წევრისათვის;

5.3. კომისიის წევრის მიერ კომისიის დებულებისა და სერტიფიცირების პროგრამით განსაზღვრული პოლიტიკისა და პროცედურების ნებისმიერი მოთხოვნის დარღვევა განიხილება განათლების კომიტეტის მიერ და შეიძლება გამოიწვიოს გაფრთხილება ან, უკიდურეს შემთხვევაში, კომისიის

წევრობიდან გარიცხვა;

5.4 დაუშვებელია საგამოცდო კომისიის წევრობიდან გარიცხული წევრის შემდგომში საგამოცდო კომისიაში ჩართვა.

## 6. დებულების ძალაში შესვლა

6.1. დებულება ძალაში შედის 2025 წლის 1 აპრილიდან